№ 292 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. ხუთშაბათი, 25 დეკემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## კანტორისაგან.

### მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ" 1920 წლისთვის

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

1 იანვრიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

კერძო პირთაგან განცხადებანი ნისიათ არ მიიღება.

რედაქციის კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ბარონის ქ № 6. ტელ. 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.**

ხუთშაბათს, დეკ. 25-ს ქართულ მუსიკალურ საზოგადოების და კოოპერატივთა კავშირის საოპერო სტუდია დგამს არაყიშვილის ქართულ ოპერას

### თქმულება შოთა რუსთაველზე

და ბალეტი. პარასკევს, დეკემბრის 26-ს ნინო კოშიცის მონაწილეობით „ვერტერი". 22 დეკ. აღებული ბილეთები გამოდგება 26-სთვის. შაბათს, დეკემბრის 27-ს ოპერა მუშებისთვის "ტრავიატა". კვირას, დეკ. 28-ს დილით საბავშვო ოპერა „კატა წაღებით და 7 თხა. საღამოს „აბესალომი და ეთერი". ორშაბათს, დეკ. 29-ს ნინო კოშიცას მონაწილეობით „პიკის ქალი." სამშაბათს, დეკ. 30-ს ვიქტორ დოლიძის ბენეფისი „ქეთო და კოტე".

**ოფიციალური განყოფილება.**

## დეკრეტი

**ხაზინიდან 6.500.000 მან. გადაებისა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელისათვის საჭირო მასალების და აპარატების შესაძენათ.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსგანკარგულებაში ექვსი მილიონი ხუთასი ათასი (6.500.000) მან. ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელისათვის საჭირო მასალების და აპარატების საზღვარ გარედ შესაძენად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 16-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფრ. ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი.

**სახაზინო რკინისგზის ადმინისტრაციის საგზაო ფულით დასაკმაყოფილებლად 1919 წლის აგვისტოს 1-დან ნოემბრის 1-დე ყოველთვიურად 14.766 მანეთის გადადებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში ამა 1919 წლ. აგვისტოს 1-დან ნოემბრის 1 დე ყოველთვიურად თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდა ექვსი (14.766) მან. სახაზინო რკინის გზის ადმინისტრაციის საგზაო ფულით დასაკმაყოფილებლად, თანახმად ამ დეკრეტთან დართული ნუსხისა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 16-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**სახალხო გვარდიის შესანახად 20.000.000 მანეთის გაღებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებაში სახალხო გვარდიის შესანახად ოცი მილიონი (20.000.000) მანეთი 1919-1920 წწ. ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 19-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

**დამატება იუსტიციის სამინისტროს შტატებისა.**

## საერთო ნუსხა კრედიტებისა.

| ხარჯთაღრიცხვის ნაწილები. | ნავარაუდევი 1 თვეში. | ეძლევა თვეში. ძირითადი. | დამატება. მაისის 20-ს. | დამატება. აგვისტოს 20-ს. | დამატება. ჯამი. | ჯამი. | დამატებად საჭირო კრედიტების რაოდენობა. თვეში. | 6 თვეში. | ნოემბერში. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| § 1. სენატი . . . . . . . . . | 313195 | 256800 | — | — | — | 256800 | 56395 | 338370 | 56395 |
| § 2. მთავარ დაწესებულებათა შენახვა . . . . . . . . | 214660 | 33025 | 8762 50 | 9807 50 | 18570 | 51595 | 181635 | 1089810 | 163065 |
| § 3. სხვა და სხვა საგამგებლო ხარჯი. . . . . . . . . | 72000 | 18105 | — | — | — | 18105 | 53895 | 323370 | 53895 |
| § 4. სასამართლო პალატა . . . | 199275 | 90000 | 30800 | 34035 | 64835 | 154835 | 109275 | 655650 | 44440 |
| § 5. ოლქის სასამართლოები . . | 1047395 | 298500 | 115650 | 129432-50 | 245082-50 | 543582 50 | 748895 | 4493370 | 503812 50 |
| § 6. სამომრიგებლო ყრილობანი. | 332780 | 92925 | 26825 | 33345 | 60170 | 153095 | 289855 | 1439130 | 179685 |
| § 7. სამომრიგებლო უბნები . . | 2105050 | 627300 | 245250 | 319500 | 564750 | 1192050 | 1477750 | 8866500 | 913000 |
| § 8. გაუქმებულია . . . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| § 9. საგანგებო სასამართლოები . | 234500 | 63600 | 14075 | 9012 50 | 23087-50 | 86687 | 170900 | 1025400 | 147812 50 |
| § 10. უდიდეს საქმეთა გამომძიებელი . . . . . . . . | 11925 | 2600 | 975 | 1936 | 1910 | 4510 | 9325 | 55950 | 7415 |
| § 11. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი . . . . . . . . | 57205 | 10200 | 3700 | 3670 | 7370 | 17570 | 47005 | 282030 | 39635 |
| § 12. უბნის გამომძიებელნი . | 720890 | 156800 | 56700 | 61500 | 118200 | 275000 | 564090 | 3384540 | 445890 |
| ჯამი . . | 5308875 | 1649855 | 502737 50 | 602238 50 | 1103975 | 2758830 | 3659020 | 21954120 | 2555045 |

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

## შინაგან საქ. სამინისტროში.

**ქალ. ხონის შუამდგომლობა.**

ხონის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ქალაქს მისცემოდა საკუთრებათ და უფასოთ ქ. ხონში მდებარე სახაზინო (სადუქნე) მიწა ზომით დაახლოვებით $2^1/_2$ დესეტინა. ამის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელმაც აუწყა პასუხათ, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია სახელმწიფო ქონების დარიგება უფასოთ და ამის გამო ქალაქ ხონის შუამდგომლობა მისთვის უსასყიდლოდ სახაზინო მიწების გაცემის შესახებ დატოვებულია უყურ **ადღებოდ.**

**ნეიტრალურ ზონიდან ხორბლის გაზიდვის შესახებ.**

სადგურ ალავერდიდან ნეიტრალურ ზონის მთავარი კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ სად. ახტალისა და აირუმზე არ ღებულობენ გადასაზიდათ ხორბალს, რომელიც მცხოვრებლებმა ნეიტრალურ ზონაში დაამზადეს. ხორბლის ურმებით გადაზიდვა დიდად ბრკოლდება.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჩქაროთ ცნობები მოსთხოვა ნეიტრალურ ზონის კომისარს.

მომარაგების სამინისტრომ აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მის მიერ მიღებულ ცნობებით ბორჩალოს მაზრიდან ნეიტრალურ ზონაში და იქიდან სომხეთში ფარულად გააქვთ ხორბალი და სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამის წინააღმდეგ ზომები მიიღოს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროს, დაუყონებლივ მოსპოს ფარულად ხორბლის გაზიდვა ნეიტრალურ ზონაში.

**მაზრის მილიციელის და ერთ მცხოვრების მოკვლა.**

ყვირილიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ, რომ 13 დეკემბერს ყაჩაღებმა დათიკო უკლებამ და კარპიოზ ბარბაქაძემ მოკლეს მაზრის მილიციელი შალვა ბეჟანიძე და სოფელ სიქთარუას მცხოვრები დათა მეძმარიაშვილი.

**კომისარის დასჯა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა თელავის ერობას დააპატიმროს შილდის საზოგადოების კომისარი და აღძრას საკითხი კანონიერის გზით მისი სამართალში მიცემის შესახებ, რადგან ხსენებულმა კომისარმა დახმარება არ აღმოუჩინა ს. შილდაში მიმალულ დეზერტირების დაჭერაში.

**კავკასია-შავი ზღვის შრომის არტელის განცხადება.**

კავკასია შავი ზღვის შრომის არტელის თავმჯდომარის ცეიტგინისაგან განცხადება შემოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობას ხსენებულ არტელისათვის დაუდვია 78,000 მან. სანიტარული გადასახადი. ამის გამო სამინისტროს კანცელარია შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომელმაც მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის გამგეობის 5 ნოემბრის დადგენილება: რადგან გამოძიებით გამოირკვა, რომ კავკასიის შავი ზღვის შრომის არტელი აწარმოებს დიდ ალებ-მიცემობას და მისთვის 78,000 მან. გადახდა არ არის საძნელო, მათი თხოვნა უყურადღებოთ იქმნას დატოვებული, რაიც მოხსენდეს ქალაქის საბჭოს". საბჭომ გამგეობის ასეთი დადგენილება დაადასტურა

**ადერბეიჯანის საზღვრებზე.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ უკანასკნელ დღეებში ადერბეიჯანის საზღვარზე მდგომ სანაპირო ჯარის ნაწილებიდან მიღებულ ცნობებით, აღნიშნულ რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს ტერიტორიაზე ხნავენ ჩვენი გლეხების მიწებს, ხოლო უშლიან ამ უკანასკნელთა მუშაობას, იჭერენ მათ

ტყვეთ, მიყავთ საქონელი, იტაცებენ სამეურნეო იარაღსაც კი და თავს იმით იმართლებენ, რომ ადერბეიჯანის ადმინისტრაცია ვითომ ყველა ამის ჩადენის ნებას აძლევს თავის მოქალაქეთ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა, რომ ამ დღეებში სამინისტროს განკარგულებით იქ ისევ მიემგზავრება ის კომისია, რომელიც იქ უკვე მუშაობდა.

## საგარეო საქმ. სამინისტროში

**აზერბეიჯანის ახალი სამინისტრო.**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ბაქოდან: პარლამენტმა არ დაამტკიცა მინისტრთა პირველი სია; უსუბბეკოვმა წარმოადგინა ახალი სია და წაიკითხა დეკლარაცია. როგორც სია ისე დეკლარაცია მოიწონა ყველა პარტიებმა და დაადასტურა გარდა სომეხთა და რუსთა ჯგუფებისა. სია შემდეგია: უსუბბეკოვი—პრემიერ მინისტრი, უპორტფელოდ, ხან-ხოისკი—საგარეო საქმეთა მინისტრი, მეხმანდაროვი—სამხედრო მინისტრი, მამედ ჰასან გაჯინსკი—შინაგან საქმეთა, ხასმამედოვი—იუსტიციის, რაფიევი—საზოგადო მზრუნველობის და ჯანსაღობის, მელიქასლანოვი—გზათა მიმოსვლის და დროებით ვაჭრობა-მრეწველობის და სურსათის—ყაფლანოვი—ფინანსების, შახტ-ახტინსკი—სახალხო განათლების, პეპინოვი—შრომის და მიწათმოქმედების, ჯამო გაჯინსკი—ფოსტა-ტელეგრაფის, ეიბაკტული მამედბეკოვი—სახელმწიფო კონტროლის".

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია.

## მოხალისეთა პრესის პროვოკაცია.

**საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისგან.**

დენიკინელთა როსტოვის გაზ. „ჟიზნ" ის 28 ნოემბრის ნუმერში მოთავსებულია „პრესბიურო"-ს შემდეგი ცნობა:

**„ბოლშევიკური მუშაობა კავკასიაში".**

**ტფილისი.** ურთიერთობა ამიერ კავკასიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებისა და ბოლშევიკებსა და ზოგიერთ ოსმალთა წრეების შორის მათი საერთო ინტერესების ნიადაგზე იხლართება ძალიან რთულ კვანძათ. ბოლშევიკები, მიისწრაფიან რა მოხალისეთა ჯარის მდგომარეობის გაძნელებლად, ხელს უწყობენ საქართველოს და აზერბეიჯანის სეპარატისტულ მისწრაფებებს, ახალგაზრდა ოსმალნი ყოველმხრით ეხმარებიან აზერბეიჯანს და საქართველოს, რათა მოკავშირენი მიიპოვონ რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ეხლა აღორძინების პროცესშია და რომლის არსებობასაც ვერ ურიგდებიან ისინი. ბოლშევიკები ხელს უწყობენ ახალგაზრდა ოსმალებს, რათა გააძნელონ მოკავშირეთა მდგომარეობა ოსმალეთში. ზემო მოყვანილს ადასტურებს შემდეგი ფაქტები: საქართველოს წარმომადგენელი სტამბოლში მოლაპარაკებას აწარმოებს ახალგაზრდა ოსმალებთან სომხეთის რესპუბლიკის, მოხალისეთა ჯარის და მოკავშირეთა წინააღმდეგ შეთანხმებულად მოქმედების შესახებ. სივასის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა რუსეთის, ადერბეიჯანის და საქართველოს წარმომადგენელნი. ბათუმში და ბაქოში მოლაპარაკება სწარმოებდა საქართველოსა და ადერბეიჯანის წარმომადგენლებისა ახალგაზრდა ოსმალებსა და ბოლშევიკებთან მოხალისეთა ჯარისა და მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ახალგაზრდა ოსმალებმა საკმაოდ დიდძალი ფული მიიღეს ბოლშევიკებისაგან. ბოლშევიკების აგიტატორები ყველგანაა დაგზავნილი. ადებეიჯანსა და საქართველოს შორის შემდეგი შინაარსის ხელშეკრულება დაიდო:

1) ამიერ კავკასიაში არ იქნენ შეშვებული რუსები. 2) ადერბეიჯანმა და საქართველომ ერთად უნდა იბრძოლონ ბოლშევიკებთან ერთად მოკავშირეების წინააღმდეგ ამიერ-კავკასიიდან მათ გასადევნათ. 3) სომხეთი მტრათ ჩაითვალოს. 4) ადერბეიჯანსა და სომხეთის შორის ომის გამოცხადებისას საქართველომ სომხეთს უნდა მოუჭრას ყველა სამიმოსვლო გზა. 5) ქართველები ვალდებულნი არიან მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ ჯარი გამოიყვანონ პეტროვსკის მიმართულებით, 6) ახალგაზრდა ოსმალების მოქმედების ბაზათ უნდა გახდეს ამიერ-კავკასია, ტრაპიზონი და რიზე. ახალგაზრდა ოსმალნი ვალდებულნი არიან სხვა და სხვა დროს გზავნონ 15 ათასი ასკერი საქართველოს და ადერბეიჯანის დასახმარებლათ და სომხეთში—მაჰმადიან მცხოვრებთა ასაჯანყებლათ".

საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ ამ ცნობაში მოყვანილი „ფაქტები" ყველა ამ უაზროდ შეთხზულ ამბების დასამტკიცებლად, რომლითაც იგი სავსეა, მტკნარი სიცრუეა. ასე: 1) საქართველოს წარმომადგენელს სტამბოლში ახალგაზრდა ოსმალებთან არასოდეს არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია ვისმეს საწინააღმდეგოდ შეთანხმებულ მოქმედების შესახებ, 2) სივასის კონგრესის მუშაობაში საქართველოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, 3) არც ბათომში, არც ბაქოში და არც სხვა რომელიმე ადგილას საქართველოს წარმომადგენლებს მოლაპარაკება არ გაუმართავთ არც ახალგაზრდა ოსმალებსა და არც ბოლშევიკებთან, 4) საქართველოს და ადერბეჯანის ხელშეკრულებაში არ მოიპოვება ასეთი მუხლი: „არ შემოუშვათ ამიერ-კავკასიაში რუსები"-ო, მაგრამ ხელშეკრულება იმ მიზნით არის დადებული, რომ იმიერ კავკასიაში არ შემოუშვათ მოხალისეთა ლაშქარი, იმ შემთხვევაში თუ იგი მოისურვებს იარაღით თავს დაესხას ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განადგურების მიზნით, 5) ყალბი მოგონებაა აგრეთვე ის ცნობაც, თითქოს შეთანხმების ერთი მუხლი ეხებოდეს ამიერ-კავკასიიდან მოკავშირეთა განდევნას. პირიქით მოკავშირეთა ჯარების ამიერ-კავკასიიდან წასვლის დროს საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებმა ითხოვეს ამ ჯარების აქ დატოვება. ანალოგიური შუამდგომლობა აღძრეს აგრეთვე პარიზში მყოფმა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენლებმაც, 6) საქართველოს და ადერბეიჯანის ხელშეკრულებაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც სომხეთს მტრადა სახავდეს, მაგრამ არის სრულიად ამის საწინააღმდეგო მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სომხეთს შეუძლიან განსაზღვრულ დროის განმავლობაში მიემხროს ამ ხელშეკრულებას და ამ რიგად შევიდეს ამიერ კავკასიის თავდაცვის კავშირში.

პროვოკაციულის მიზნით არის აგრეთვე გამოგონილი ის, ვითომ ხელშეკრულებაში იყოს მუხლი, რომელიც ჰგულისხმობდეს სომხეთისადმი საქართველოს მტრულ ჩარევას სომხეთ-ადერბეიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტში თუ იგი ძოხდა. საუკეთესოთ უარჰყოფს ამ გამოგონილ ამბავს ის ფაქტი, რომ საქართველო ენერგიულათ გამოვიდა შემარიგებელს როლში ზანგეზურის საკითხის გამო ამას წინათ მომხდარ სომხეთ-ადერბეიჯანის გაუგებრობის დროს. 8) ასეთივე ინსინუაციაა ცნობა ამიერ კავკასიის ახალგაზრდა ოსმალთა ბაზათ გადაქცევისა და საქართველო ადერბეიჯანში 15,000 ასკერის გასაგზავნათ ახალგაზრდა ოსმალთა ვალდებულების შესახებ. საქართველო-ადერბეიჯანის ხელშეკრულების მიზანია საქართველოსა და ადერბეიჯანის თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა მათ სუვერენულ უფლებებზე ყოველგვარ თავდასხმისაგან მიუხედავათ იმისა, თუ საიდან იქნება ეს თავდასხმა დენიკინელთა რეაქციისა, თუ ახალგაზრდა ოსმალთა იმპერიალიზმის მხრით.

„პრესბიუროს" ცნობა შეთხზულია ფაქტების ისეთი არასინდისიერ შერყვნით, რომ იგი საკმაოთ ნათლათ ამტკიცებს, თუ როგორ მტრებთან აქვთ საქმე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მოხალისეთა ჯარის პრესის სახით, რომელიც არავითარ საშუალებით არ უკადრისობს ამიერ-კავკასიის ხალხთა თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეიის სავნებლათ.

## პატარა შენიშვნები.

**ბოლშევიკები შიმშილობენ?..**

სხედან მეტეხის ციხეში ბოლშევიკები და თითქოს შიმშილობენ.

მათ შიმშილობაზე ამ დღეებში ცნობა იყო მოთავსებული ტფილისის ზოგიერთ გაზეთებში. ნამდვილათ კი არ შიმშილობენ,- არამედ—ხმაურობენ ბოლშევიკები, აგიტაციას ეწევიან იმ წყობილების წინააღმდეგ, რომლის დანგრევა მათ იარაღით ვერ შესძლეს, აგიტაციას ეწევიან იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მათ თავშესაფარათ მეტეხი მიუჩინა.

რას მოითხოვენ ბატონნი ბოლშევიკები? ბოლშევიკების მოთხოვნა, მათი შიმშილობა იმდენათ არის ჩვენთვის საყურადღებოთ, რამდენათაც ის, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ ელემენტს შეიცავს.

„ადამიანურ ცხოვრებაზე" ბოლშევიკები კრინტს არ დასძრავენ მეტეხში იმიტომ, რომ ასეთი ცხოვრება მათ მეტეხის გარეშე ვერ შეიღირსიეს!

სამზარეულოს გადაცემა მათთვის, კამერების ღიათ დატოვება, ნახვის ნებართვა და სხვა უბრალო რამ არის. ესენი მათ ნაკლებათ აინტერესებს, რომდენათაც ასეთი ზომები მათ „კულტურულ" მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

მაგრამ მათი მოთხოვნა სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმებისა, რაღაც კომისიის შედგენა, რომელშიაც დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები შევლენ,—სულ სხვა ხასიათის ხრიკებია.

იმ დამფუძნებელი კრების წარმომადგენლს მოითხოვენ ბ.ბ. ბოლშევიკები, რომლის გასარეკათ ცეცხლი და მახვილი აამუშავეს...

მოითხოვენ სამხედრო საველე სასამართლოების გაუქმებას!..

კიდევ რას მოითხოვენ? სახალხო გვარდიის გაუქმებას ხომ არა?! როგორ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევას მოითხოვენ.

ერთობ შეუკვეცია ფრთები ამ „ფართო მასშტაბის" ხალხისთვის მეტეხსო, გაიფიქრებს გულუბრყვილო მკითხველი, მაგრამ ეს ასე არ არის. ბოლშევიკებმა იციან რასაც აკეთებენ. ისინი „შრომობენ" ციხეში, აგრეთვე „შრომობენ" მის გარეშე.

გარეთ დარჩენილნი ფურცლებსა სცემენ ფულებს არიგებენ, ხალხს მოუწოდებენ,—ემზადებიან. ციხე კი, მათ გამოძახილს აძლევს!.

ოთხი დღეა ვშიმშილობთო,—პერანგზე თუ შარვალზე წააწერეს და კამერის ფანჯრიდან ქუჩაზე გამოაფინეს.

ბოლშევიკების ასეთი მოქმედება იმის საბუთია, რომ მათ მაინცა და მაინც არ უნდა ავეწრიოებდენ. „მოთხოვნაში", კი ალბათ, ერთ მუხლად ექნებოდათ შეტანილი სასტიკი და უდიერი მოპყრობის მოსპობა ადმინისტრაციის მხრით!..

და რაც უფრო ყურადსაღებია, ბოლშევიკების „ზრახვათა" გავრცელება ზოგიერთმა გაზეთებმაც კი იკისრეს. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს მათ განზრახ მოიმოქმედეს, მაგრამ ფაქტი ერთს გვეუბნება: როცა იმ გაზეთებმა ბოლშევიკების შიმშილობის ამბავი და რაც უმთავრესია, მათი „პლაკატის" შინაარსი დაბეჭდეს, ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყვეს ჩვენში ბოლშევიკური აგიტაციის გაჩაღებას.

ეს კი დანაშაულია. დანაშაული და პირდაპირ ღალატია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა ბოლშევიკებისთვის რაიმე ხელის შეწყობა.

განა ეხლაც საეჭვო, გაუგებარია ვისმესთვის, თუ რას გვიმზადებდენ ან გვიმზადებენ ბოლშევიკები?..

ჩვენმა დემოკრატიამ, ჩვენმა სახალხო გვარდიამ ბოლშევიკები თუმცა დაამარცხა, მაგრამ ყველა სანგრებიდან ჯერ სავსებით ამორეკილი არ არიან. ჯერ კიდევ გრძელდება ბრძოლა ამ მოღალატეთა წინააღმდეგ და ზოგიერთები შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ხელს უწყობენ მათ ახალი ფრონტის შესაქმნელად... მეტეხის ციხესთან!..

**სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია.**

თუ სინამდვილეს შეიცავს ბაქოდან მოსული ცნობა, იქ ერთი თვით გადაუდვიათ სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის სხდომები, მიზეზათ დასახელებულია შეუთანხმებლობა საზღვრების საკითხში.

ერთა სოლიდარობის მომხრეებში ეს ცნობა, ეჭვი არაა, მწუხარებას გამოიწვევს. ამით ამ ორ რესპუბლიკას შორის შეთანხმების გზები დახშული არ არის,—წინასწარ ხელშეკრულებაში, რომელიც მათმა წარმომადგენლებმა ტფილისში დასდვეს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის თანადასწრებით, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ყოველგვარი სადავო საკითხი ჩვენს შორის სწყდება ურთიერთ შეთანხმებით ან არბიტრაჟით. აქედან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ, მართალია, ვერ შეთანხმდნენ, მაგრამ არბიტრაჟს სავალდებულოთ მიიჩნევენო. არ გინდა დაიჯერო, რომ მათ შორის ვერ ან არ მოხდება შეთანხმება.

არბიტრაჟი, სამედიატორო სასამართლო ორ მოდავე პირთა შორის მესამე პირის ჩარევაა. როგორც არ უნდა შეატრიალო ეს საკითხი, მესამე პირი მაინც წინ გიდგას. აქ ყველაფერი დაცულია—კულტურული წესი სადავო საკითხის მოგვარებისა და სხვა, მაგრამ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მაინც უმჯობესია, თუ ადერბეიჯან-სომხეთი უშუამავლოთ ერთმანეთში მორიგდებიან. ეს იქნებოდა სომხეთ-ადერბეიჯანს შორის დათესილი უნდობლობა—შუღლის ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრა. ბოროტ სულს ერთობ ბევრი ნაშრომი აქვს ამ საგანზე და თუ ერთი დაკვრით მას ვერ მოვსპობთ, ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ მაინც ხელი, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მეტი ნაყოფიერი დარჩეს.

ეს რამდენიმეთ, ჩვენის აზრით, შეგნებული აქვს როგორც სომხეთს, ისე ადერბეიჯანსაც და ამიტომ იმედს არ ვკარგავთ, რომ ერთი თვის შემდეგ ისინი უშუამავლოდ მორიგდებიან.

## დამფუძნებელი კრება

**23 დეკემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**ქრ. შარაშიძის** ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) საქართველოს სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საშუალების გაძლიერებისა და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარებისა და 2) ყარაიაზის მამულის სარწყავი არხის შეკეთებისათვის 3,560,000 მან. გადადებისა და იმავე სისტემისათვის სათადარიგო-საამშენებლო 400,000 მან. თანხის დაარსების შესახებ.

**ვ. წულაიასი და გრ. ურატაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის საპენსიო კომიტეტისათვის 4,200,000 მან. გადაცემის შესახებ.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო საჭიროებისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 30 მილ. მანეთის გადადების შესახებ.

**ვ. თევზაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ.

**მისივე** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარ-გარეთ სადიპლომატიო და საკონსულო დაწესებულებათა შესანახად და სხვა ხარჯებისათვის გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 22.600,000 მ. გადადების შესახებ.

**ი. ხალაყაიას** მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა გასული სახარჯთ-აღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯების განაღდების შესახებ.

დასასრულ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საზღვარგარეთ სადიპლომატიო საკონსულო დაწესებულებათა შესანახად და სხვა ხარჯებისათვის გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 22.000,000 მან. გადადების შესახებ.

## ქალაქის თვითმართველობაში.

**ტრამვაის პარკის მანტიორების მოთხოვნილება.**

ქალაქის გამგეობამ ტრამვაის პარკის მანტიორებისაგან მიიღო წერილობითი განცხადება, რომლითაც ისინი მოითხოვენ გავრცელებულ იქნას მათზე 40% მომატება.

**ძეგლების გაუქმება.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ვინაიდან შეუფერებელია დემოკრატიულ რესპუბლიკის დედა ქალაქში ძველი რეჟიმის მოხელეთა ერთგული სამსახურისთვის პატივსაცემლად აგებული ძეგლების არსება—იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა მოხსნილ იქნას ძეგლები: ვორონცოვის, გრიაზნოვის, ჯვარი ვერაზე და სხვ.

**დახმარება „შევარდენს".**

ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა ტანთსავარჯიშო საზოგადოება „შევარდნის" თხოვნა და გადასდო 10,000 მანეთი მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვაში.

**სახელწოდების შეცვლა.**

ქალაქის გამგეობამ მოისმინა რა მოხსენება შრომისა და საზოგადოებრივ მზრუნველობის განყოფილებისა დაადგინა ხსენებულ განყოფილების „შრომისა და საზოგადოებრივ მზრუნველობის" მაგიერ დაერქვას „შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილება", ვინაიდან სახელწოდება სოციალური დახმარებისა უფრო შეეფერება განყოფილების მუშაობის ხასიათს ვიდრე „საზოგადოებრივი მზრუნველობისა".

**სალიკვიდაციოს მიცემა.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, თანახმად შრომის სამინისტროს მოწერილობისა, ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დათხოვნილ მოსამსახურეს მიეცეს სალიკვიდაციო.

**შუამდგომლობა.**

შრომის ბირჟა შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა დახურულ იქნას ყველა კერძო საშუამავლო კანტორები, რადგან შუამავლობას შრომასა და კაპიტალის შორის ეწევა შრომის ბირჟა. ქალაქის გამგეობამ დაავალა შრომის განყოფილებას გამოარკვიოს კერძო კანტორების მუშაობა და მოაქვთ თუ არა რაიმე სარგებლობა უმუშევართათვის.

# ერობა.

### თიანეთის სამაზრო ერობის დადგენილებანი.

გამგეობამ დაამტკიცა შემდეგი ნიხრი: ფუთის გადატანა ვერსზე 25 კაპ. (როდესაც იგზავნება სპეციალურად) დაბრუნებისას 15 კაპ. (70 ვერსი) ტფილისში ფუთზე 18 მანეთი (როდესაც სპეციალურად იგზავნება) უკან დაბრუნებისას 10 მან.

ურემი კაცით დღეში 180 მან., ურემი ტფილისში 700 მან., ურემი დაბრუნებისას 400 მან., ცხენი დღეში 75 მან., ცხენი როდესაც არ მუშაობს 35 მან.

ეს ნიხრი უნდა იქნეს სასტიკად დაცული საზოგადოებრივ, საერობო და სახელმწიფო დაწესებულებისათვის. ბეგრის ქვეშ გამოყვანილი იქნება მხოლოდ სამაზრო ერობის გამგეობის განკარგულებით სახელმწიფო, საერო და საზოგადოებრივ საჭიროებისათვის.

ბეგრის წარმოება უნდა ხდებოდეს რიგრიგობით საზოგადოების კომისრის საშუალებით სპეციალურად ამისათვის აღნიშნულ წესით.

შეძენილ იქნეს: 30 ცხენი, 10 ჯორი, ერთი სამგზავრო და ორი საბარგო ავტომობილი.

სასწრაფოთ ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ თიანეთის სამაზრო ერობის განკარგულებაში გადასდოს 200,000 მანეთი თიანეთის მაზრაში ანარქიასთან და ყაჩაღებთან საბრძოლველად და სრული წესიერების აღსადგენად.

ფშავ-ხევსურეთის სკოლებს სახელმძღვანელოები მიეცეს სრულიად უფასოთ, ამ საჭიროებისთვის გადადებულ იქნა ათასი მან.

ერობის კასიდან იქნას გაღებული 19,200 მანეთი ტელეფონის ქსელზე თვიური მომუშავე პირთა დასაკმაყოფილებლად და რადგანაც ამ ხაზს აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეთხოვოს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს აღძრას შუამდგომლობა მთავრობაში, რათა გაღებული თანხა (19,200 მ.) უკანვე დაუბრუნდეს ხაზინიდან თიანეთის ერობას.

# უცხოეთი

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**მოსკოვი.** ნარვის რაიონში სასტიკი ომი სწარმოებს. ჩვენს მხარეზე გადმოვიდა ნაწილი მტრის რაზმისა. მტერმა ყუმბარები დაუშინა ქ. დვინსკს. ესროლეს სულ 250 ყუმბარა. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო დაბა ჩუდნოვო. წითელი არმია მიიწევს ქ. კაზატინისაკენ. კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენმა რაზმმა აიღო დაბა გოსოვიჩი. (?) პოლტავის რაიონში წითელმა ჯარმა 30 ვერსზე წინ წაიწია პოლტავიდან სამხრეთით და კვლავ განაგრძნობს წინსვლას. იზიუმის მიმართ. ჩვენი ჯარი იბრძვის 5 ვერსით აღნიშნულ ქალაქიდან. სადგურ ზაკომალოვის აღების დროს ხელთ ვიგდეთ 2 ორთქმავალი და 31 ვაგონი, რომელთაგან 28 შეშით არის დატვირთული, 2 კი ნაშხირით. მილეროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო მთელი რიგი სოფლებისა სადგურ ჩერტკოვის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე. ამავე მიმართულებით რკინის გზის რაიონში ჩვენ ავიღეთ სადგური ზორიკოვსკი და განვაგრძობთ წინსვლას სადგურ ჩერტკოვოსაკენ. დამატებითი ცნობების მიხედვით სეტრაკოვის რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, 20 ტყვიისმფრქვეველი, 1.000 ვინტოვკა, 1 ტრაქტორი, დიდძალი პატრონები და ყუმბარები. ვეშენის რაიონში ჩვენ ავიღეთ რამოდენიმე სოფელი სადგურ ვეშენსკის სამხრეთით 10 ვერსზე. გურიევის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სიმაგრე გორსკაია, კალმიკოვიდან 45 ვერსის სამხრეთისაკენ. დამატებითი ცნობების მიხედვით კალმიკოვის აღების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელთ ვიგდეთ 20 ზარბაზანი, 50 ტყვიისმფრქვეველი, ერთი ჰაეროპლანი, ერთი ჯავშნიანი მატარებელი და სხვა მრავალი სამხედრო დავლა. ნოვონიკოლაევსკის რაიონში ჩვენი წინსვლა ენერგიულად სწარმოებს.

### გერმანული პრესა.

დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიის ორგანო „ფრაიჰაიტი“ სწერს: დამოუკიდებელთა პარტია წინეთ იყო უკიდურესი ოპოზიციის პარტია, მაგრამ რევოლიუციური ხასიათი მიიღო გზაში გოტიდან ლაიპციგამდე.

ქვედა პალატაში ლოიდ ჯორჯის განცხადების თანახმად ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება გაგრძელებულია 1920 წლის ბოლომდის.

ფრანგული გაზეთები უკმაყოფილო არიან ლოიდ ჯორჯის თემთა პალატაში წარმოთქმულ უკანასკნელი სიტყვით. „გოლუა“ სწერს მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთს, ინგლისს, იტალიასა და ბელგიას შორის დადებულ კავშირით იქნება გამარჯვების შედეგები უზრუნველყოფილიო. „ეკლერი“ უჩვენებს: ლოიდ ჯორჯის აზრით ინგლისი კი არ მფარველობს საფრანგეთს, არამედ საფრანგეთი ლებულობს ინგლისს თავის მფარველობის ქვეშ, და მაშასადამე, საფრანგეთი ინგლისის მფარველობას კი არა—მის დახმარებას მოითხოვს.

პროგრესიულ დემოკრატიული გაზ. „ბორზენ კურიერი“ საფრანგეთის მიერ წამოყენებულ 130,000 მილიონის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნილების შესახებ სწერს: ის ციფრი ზღაპრულად გადიდებულია და სრულებითაც არ ეთანხმება საფრანგეთის ნამდვილ ზარალს.

ბერლინში შარლოტენბურგის სადგურზე ინგლისის სამხედრო მისიის წევრს ლეიტენანტ სპირმენს თავს დაესხნენ ყაჩაღები იმ დროს, როდესაც იგი დანციგის მატარებლის საწოლ ვაგონში გადაიოდა. სპირმენს თავში დაჰკრეს. მან რამდენიმე წუთით გრძნობა დაჰკარგა, მაგრამ მალე მან შესძლო ისევ სასტუმროში დაბრუნება. თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ და ბერლინის პოლიციის უფროსმა ინგლისის სამხედრო მისიის თავმჯდომარეს ამ მოვლენის შესახებ თავის მწუხარება განუცხადეს.

სოციალისტურ უმეტესობის პარტიის ბერლინის განყოფილებამ მრავალ რიცხოვან კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრ ნოსკეს გადადგომის მოთხოვნის შესახებ, ნოსკეს მარლოს საქმეში მოქმედებისა და ჯარის დაცვის საქმეში აღმოჩენილ ბოროტ მოქმედებათა გამო. ნოსკე თავს იმართლებდა და ამბობდა: კრიტიკოსები არ ღებულობენ მხედველობაში იმ სიძნელეთ, რომელნიც მას ხვდებოდა წინ თავის მოვალეობის აღსრულების დროს, დაბნეული გერმანიის ხალხი, რომელსაც სათანადო წინამძღოლები არა ყავდა, რევოლიუციაში ეძებდა გამოსავალს, მაგრამ იმედი დაკარგა, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ჭეშმარიტი სოციალისტური წესწყობილების დამყარება. როდესაც ნოსკე ბერლინში მიიწვიეს, მან აქ ნახა მხოლოდ 20000 რევოლიუციონური ჯარის კაცი, რომლებიც მზათ იყვნენ უფრო მთავრობის წინააღმდეგ ებრძოლათ, ვიდრე შეიარაღებულ მტრის წინააღმდეგ. ნოსკე თავს იმართლებს აგრეთვე კომუნისტთა წინააღმდეგ მიმართულ ენერგიულ ზომების ხმარებაში. მან განაცხადა: ჯარი არ იყო რეაქციონური, ოფიცრები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, კაპიტალისტურ წესწყობილობის დაცვაში სრულებით არ იყვნენ დაინტერესებულნიო. მიტინგზე თითქმის ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ნოსკეს დათხოვნას უარყოფდა.

დამოუკიდებელ სოციალისტების ბერლინ-ბრანდებურგის განყოფილების გუშინდელ სხდომაზე მოისმინეს მოხსენება ლეიპციგის პარტეიტაგის შესახებ. თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა კრისპენს, რომელმაც გილფერდინგისა და ლედებურის შემთანხმებელ პოზიციის წინააღმდეგ მედგრათ განაცხადა, რომ ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთო. თავმჯდომარემ მოიწონა აგრეთვე კრისპენის პროგრამა, რომელმაც მუშათა საბჭოების უფლების აღიარება მოითხოვა.

# სკოლების მდგომარეობა თიანეთის მაზრაში

## I.

ბედმა თუ უბედობამ წილად გვარგუნა ამ შემოდგომიდან თიანეთის მაზრაში ერობის სკოლებში მუშაობა. თიანეთის მაზრის ერობამ მოქმედება 4 აგვისტოდან დაიწყო. თუმცა თავიდგანვე ვიცოდით, რომ ამ მაზრაში სწავლა-აღზრდის საქმე ცუდ პირობებში იყო, მაგრამ რაც ჩვენ ვნახეთ, იმან მოლოდინს გადააჭარბა. გამგეობის თავმჯდომარე თითონ ყოფილი მასწავლებელია; განათლების განყოფილებაც მას აულია და სექტემბერშივე დაუწყია სკოლების შემოვლა და ჩაბარება. ჩემს მისვლამდე მას უკვე მოევლო ერთი მოზრდილი კუთხე, სახელდობრ ახმეტის მიდამოები და ერობის საკუთრება-უფლებაში მიეღო იქაური სკოლები. შუა სექტემბრიდან დავიწყეთ მთელი მაზრის შემოვლა. ყველგან უნუგეშო სურათი ვნახეთ: ერწოს მიდამოების სკოლები სულ ერთიანად განადგურებული დაგვიხვდა. სწავლის საქმე აქ რევოლიუციის შემდეგ უცებ უკან წასულა. სკოლებში შეჭრილა ვილაცას მსახვრალი ხელი და ყველაფერი მიულეწ-მოულეწია. გულ-აცრუებულ მასწავლებელთ მიუტოვებიათ სკოლები და აქეთ-იქით გაფანტულან. სკოლა დარჩენილა უპატრონოდ და გასანიავებლად ჩავარდნიათ ხელში სოფლის იმ ნაწილს, რომელიც ყველაფერს დასანგრევად უცქერის. სხვ ფრივ აბა როგორ უნდა ავხსნათ ის, რაც ჩვენ ვნახეთ სოფ. არტანში, საყარაულოში, სიმონიანთხევში, ტოლათ-სოფელში და სხვაგან კიდევ! ეს სკოლები ხალხს ფარეხებად გადუქცევია, მეტიც უნდა ვსთქვათ. ცხარობდა ერობის თავმჯდომარე, უკვირდათ თავმოყრილ მცხოვრებთ! ეტყობოდათ აქ ამ ერთ-ორ წელიწადს უკვე შეეჩვივნენ „ფარეხებს“ ისე, რომ ჩვენი გულისწყრომა მათ მხოლოდ აკვირვებდათ. მერმე რა სკოლები ყოფილა ეს სკოლები! „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ აქ უსურვებია „ქრისტიანობის აღდგენა“ და ამ საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას რომ კარგი სკოლები გაუწყვია, სიმონიანთ-ხევში, ტოლათ-სოფელში, საყდრიონში და ბევრ სხვა ადგილებში. ამ საზოგადოებას აუგია, ხალხის დახმარებით რასაკვირველია, მშვენიერი სასკოლო შენობები, მოუწყვია ავეჯით და, საჭირო სახელმძღვანელოებით. მასწავლებლებიც ჰყოლია ამ საზოგადოებას; გერასიმე იმნაიშვილი, პეტრე კოპლატაძე, თვით ქართველი ხალხის დიდება... ვაჟა-ფშაველა, ამ სკოლებს ემსახურებოდენ; სახელიაც, ეტყობათ, კარგი დარჩენიათ ამ ხალხში! ხშირად ვხვდები უკვე ხანში შესულ კაცებს, რომლებიც ამათ სახელებს მოწიწებით ახსენებენ. ესა და ეს იყო ჩემი მასწავლებელიო, ამა და ამ სკოლაშიო, მეუბნებიან, და რაღაც განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით იგონებენ იმ დროს!

„აჰ, ნეტავი ობოლი არ ვყოფილიყავი და მთლად წავყოლოდი გერასიმესო!“ ნაღვლიანად მითხრა ს-ნის კამისარმა ს. კ-ძემ: „რაც ვიცი კიდევ იმისი წყალობა არისო!“

აი, ეს სკოლები დაგვიხვდა ჩვენ ფარეხებად გადაქცეული. მასწავლებლობასაც დაუყრია ყურები ამ რევოლიუციის შემდეგ. სიძვირისა თუ სხვა პირობების გამო აქაურ მასწავლებელთა უმეტესობა ძალზე დაძაბუნებულია. სკოლისა და საერთოდ ამ კუთხის უპატრონოდ დარჩენას, მასწავლებელიც დაუძაბუნებია და გაუტეხია. ვისაც სხვა გზა ვერ უშოვია და აქ დაგვიხვდა, ყველა წელგაწყვეტილი და სასოიხდილი ვნახეთ: დალარიბებული, გამხდარი, ჩაუცმელ-დაუხურავი, ხუთ-ექვს ალაგას დაკერებულ შარვლითა და ხალათით. უმეტესობას ხვნა-თესვა დაუწყია და სკოლის შენობას მხოლოდ თავს თუ აფარებდა. ბავშვები, სადაც კი იყო, 1919 წლის გაზაფხულზე თებერვალში თუ მარტში გაბნეულან და სექტემბრის გასულსაც არ სჩანან უკან მობრუნებული. მასწავლებელიც ამისთვის ყურს არ იბერტყავს: ბავშვებს სოფლელები ნახირს აწყესინებენ, მასწავლებელი ყანაბახჩას მუშაობს და უცდის სკოლაში თუ როდის მოვლენ შეგირდები. მოვითხოვეთ, რომ 1 ოქტომბერს უსათუოდ ყველგან გაეხსნებინათ სწავლა. ბევრ მასწავლებელს კიდევაც გაუკვირდა ასეთი ამბავი! „აქ ზამთარში თუ მოვლენ, თორემ ახლა კალოობის დროს ვინ მოგვცემს ბავშვებსო!“

მომაგონდა აჭარაში მცხოვრები მოძღვრის მამა ბეს. დ-ძის ნაამბობი: ხან ჩვენი უქმეები არის, ხან მაჰმადიანთა რამაზანები, ხან მასწავლებელი ვერ მოვიდა, ხან ზამთარი უშლის ხელს და წელიწადიც ისე გადის, რომ აჭარის სკოლა სწავლის დაწყებას ვერ ახერხებს—“. მე კი მგონია, რომ დალოცვილი კუთხე არის აჭარა ამასთან შედარებით! იქ ხალხს ეფენდი კაცი (ნასწავლი) მაინც მოსწონს, პატივდებაში ჰყავს! აქ კი „ნასწავლი მიწას ვერ მოხნავს, ქალაქში გაიქცევა და მერმე პური ვინღა უნდა შამომიტანოსო“, გვეუბნებიან.

დიახ, თიანეთის მაზრაში ეშინიანთ იმისი, რომ თუ ბავშვები სკოლებში მიიყვანეს, ყველა „ნაჭწავლი“ შეიქნება და მიწა მოუხნელი დარჩება!

# ტელეფონით სარგებლობის წესები.

ტფილისის ტელეფონის ქსელის აბონენტებმა ტელეფონით სარგებლობის დროს მომავალი წლის პირველ იანვრიდან უნდა მტკიცეთ დაიცვან შემდეგი წესები.

ა. გამომძახებელმა:

1. უნდა აიღოს მიკროტელეფონის ტარი ანუ სასმენი, მიიდოს ყურზე და ელოდოს მთავარ სადგურის (ცენტრალნაია) გამოხმაურებას.

2. როგორც კი ტელეფონისტი ქალი უპასუხებს: „სადგური“, უნდა დაუსახელოს მხოლოდ ნომერი აბონენტისა, ვისთანაც ლაპარაკი სურს. ნომერი უნდა წარმოისთქვას საშუალო ხმით, გარკვეულათ და, თუ ორ ციფრს აღემატება, ნაწილ ნაწილად: ბოლო ორი ციფრი ცალკე და პირველი [illegible] ორი კიდევ ცალკე. მაგ., ნომერი [illegible] წარმოისთქვას: „ერთი—სამოცდაორი“, 1759 „ჩვიდმეტი—ორმოცდაცხრამეტი“ და სხ. ზედმეტი სიტყვები, როგორც: „შემიერთეთ“, „გთხოვთ შემიერთოთ“, „კეთილინებეთ შემიერთოთ“ ესა და ეს ნომერი და სხ. სრულებით არ უნდა იქმნას დაშვებული აბონენტების მიერ, რადგან ტელეფონისტ ქალს უსარგებლოთ აკარგვინებენ მეტ დროს და აგვიანებენ სხვა აბონენტებთან პასუხს.

3. თუ ტელეფონისტი ქალი უპასუხებს: „მზად არის“, მაშინ უნდა დაელოდოს გამოძახებული ნომრის პასუხს:

4. თუ უკანასკნელმა დიდ ხანს არ უპასუხა უნდა მიკროტელეფონის ტარი (სასმენი) დაკიდოს ან დასდოს (როდესაც დასადგამი ტელეფონია) თავის ალაგას და ერთი ან მეტი წუთის შემდეგ ხელახლად გაიმეოროს გამოძახება ზემოხსენებული წესით.

5. ლაპარაკის დასრულების შემდეგ მიკროტელეფონის ტარი (სასმენი) უნდა მოთავსდეს იმ ადგილას, საიდანაც მოიხსნა, რაც მთავარ სადგურს ავტომატიურად აცნობებს ლაპარაკის დასრულებას.

6. თუ საჭიროება ცოტა ხნით ლაპარაკის შეჩერებას ან აპარატიდან დროებით მოშორებას მოითხოვს, ტარი უნდა დაიდოს მაგიდაზე ან (თუ კედლის ტელეფონია) დაიკიდოს აპარატის მარჯვენა მხარეს მოთავსებულ უძრავ კაკვზე.

ბ. გამოძახებულმა:

7. როგორც კი დარეკავს ტელეფონის ზარი, უნდა აიღოს მიკროტელეფონის ტარი (სასმენი) მიიდოს ყურზე და შეუდგეს ლაპარაკს, ხოლო გათავებისას აუცილებლივ მოათავსოს ტარი ისევ თავის ძველ ადგილას.

8. ერთი ლაპარაკის დათავებიდან ახალი ნომრის გამოძახებამდე უნდა დაიცადოს არა ნაკლებ ერთი წუთისა.

გ. საერთოდ:

9. ტელეფონისტი ქალები სამსახურის დროს ვალდებულნი არიან იხმარონ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ენა, არა აქვთ აბონენტებისთვის რაიმე ახსნა—განმარტების მიცემის და ხანგრძლივი ლაპარაკის უფლება, მათი ლაპარაკი აბონენტებთან განსაზღვრულია სიტყვებით: „სადგური“ (ცენტრალნაია), „მცირე სადგური“ (პოდსტანცია), „საქალაქთაშორისო“ (მეჟდუგოროდნაია), „საერთაშორისო“ (მეჟდუნაროდნაია), „მზად არის“ (გოტოვო), „დაკავებულია“ (ზანიატო), „არ გვიპასუხებს“ (ნე ოტვეჩაიუტ), „დაზიანებულია“ (პოვრეჟდენო), „სასმენი აღებულია“ (ტრუბკა პერევეშანა) და ამიტომ აბონენტებმა მათ არ უნდა მიმართონ სხვა გვარი მოთხოვნილებით.

10. ტელეფონისტი ქალები ვალდებულნი არ არიან ზეპირად იცოდნენ ყველა აბონენტების ნომრები და ამიტომ აბონენტი ვალდებულია თვითონ იცოდეს და დაუსახელოს გამოსაძახებელი აბონენტის ნომერი.

11. რაიმე გაუგებრობის დროს, მაგალითად თუ სადგური პასუხს დააგვიანებს, აბონენტმა გამოსაძახებელი ნომერი არ იცის და სხ. აბონენტმა საქმის გამოსარკვევად უნდა მიმართოს უფროს მორიგეს, რომელიც მუდამ იმყოფება საკონტროლო მაგიდასთან და აქვთ საშუალება და უფლება მისცეს ესა თუ ის ახსნა ან ჩვენება, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე, აუცილებლობის დროს, რუსულ ენაზე.

12. ტელეფონისტ ქალებთან და უფროს მორიგესთან ლაპარაკი უნდა ხდებოდეს ზრდილობიან ფორმებში.

13. წერილობითი განცხადებები ახალი ტელეფონის დადგმის ან არსებულის ერთი ალაგიდან მეორეზე გადატანის შესახებ უნდა წარედგინოს ტელეფონის ქსელის კანცელარიას (სამხედრო ქუჩა № 7; ტელ. 12—00). დილის 9—2 საათამდე, ხოლო დაზიანების შესახებ შეიძლება კანცელარიის გარდა მუდამ გადაეცეს ტელეფონით აგრეთვე საფარში (შჩიტოვაია) მორიგ მექანიკოსს (ტელ. 17—60) და უფროს მორიგეს (სტარშაია).

14. ტელეფონის აპარატების დათვალიერების და გასწორების უფლება აქვთ მარტო ქსელის მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ შესაფერი მოწმობები უფროსის ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული და აბონენტებმა მათ გარდა არავინ უნდა დაუშვან ტელეფონთან.

15. იმ სახლების რემონტის დროს, სადაც ტელეფონი არის, უნდა მიღებულ იქნას ზომები, რომ კედლებზე გაყვანილი ტელეფონის ძაფები არ დაზიანდნენ. უმჯობესია, ასეთი რემონტის დრო ეცნობოს კანცელარიას.

16. აპარატების ერთი ადგილიდან მეორეზე

გადატანა სრულდება მხოლოდ ქსელის მოსამსახურეთაგან და სადგურის უცნობლად აკრძალულია.

17. აბონენტებს სასტიკად ეკრძალებათ თავიანთი ტელეფონების გაქირავება სხვა პირებზე. თუ ასეთი ბოროტ მოქმედება აღმოჩნდება, აპარატი მოიხსნება და აბონენტს გადახდება მთელი ვადის ქირა.

18. აკრძალულია ტელეფონით ისეთი ცნობების გადაცემა, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგება კანონებს, საზოგადოებრივ ზნეობას და ზრდილობიანობას, მთავრობის წინაშე პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევებში ეკისრება თვით აბონენტებს.

**სამმართველოს უფროსი მგელაძე.**

## მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობა.

იანვრის გასულს 1920 წელს ქ. ტფილისში შესდგება სრულიად საქართველოს მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობა. ყრილობის მომწვევ კომიტეტის პრეზიდიუმი 22 ქრისტეშობისთვეს წარუდგა მიწათ მოქმედების მინისტრს გ. ხომერიკს და მოახსენა მომავალ ყრილობაზე განსახილველ საკითხთა სია. გ. მინისტრმა დიდის ყურადღებით მოისმინა პრეზიდიუმის წევრების თხოვნა და აღუთქვა დახმარება. პრეზიდიუმმა უკვე რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა, სხვათა შორის 28 დეკემბერს გაიმართება მისი ინიციატივით ქ. სიღნაღში წინასწარი კრება იქაურ მეცხვარე-მესაქონლეთა ადგილობრივ საჭიროების გამოსარკვევათ და ტფილისში საერთო ყრილობაზე წარსადგენათ.

## სხვა და სხვა

✦ სომეხთ-აზერბეიჯანის კონფერენცია ერთი თვით შესწყდა.

✦ მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილზე თავისუფალია, მხოლოდ ავტომობილებმა საჭიროა იქონიონ ჯაჭვები.

✦ 23 დეკემბერს სადგ. სამტრედიიდან ფოთში გაიგზავნა 20 ვაგონი პარკი მთავრობის მიერ დამზადებული. ეს პარკი პირველ შემთხვევისთანავე საზღვარ გარეთ გაიგზავნება.

✦ 21 დეკემბერს ღამით გუდოვიჩის ქ. მოიპარეს დიდი სამ სართულიან სახლის პირველი შესასვლელი ნიგვზის ხის კარები.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოს უფროსი აცხადებს იმ მოსამსახურეთა საყურადღებოდ, რომლებსაც სალიკვიდაციო დახმარება არ მიუღიათ, რომ მთავრობის მიერ მის განკარგულებაში უკვე გახსნილია კრედიტი მათ დასაკმაყოფილებლად და შეუძლიათ ფულის მისაღებად მიმართონ სათანადო დაწესებულებებს.

## ხელოვნება.

### მ უ ს ი კ ა.

**„ქიმერიონი“.** 27 დეკემბერს მოხდება მწერალთა კავშირის კლუბის „ქიმერიონის“ გახსნა. ქიმერიონი მოთავსებულია ყოფილ „ანონას“ შენობაში რუსთაველის პროსპექტზე, დახატულია ცნობილი მხატვრების მიერ და მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გახსნა მოხდება საინტერესო პროგრამით. მოწვეულია მთავრობა, უცხო სახელმწიფოთა მისიები და სხვა საპატიო სტუმრები.

—

**ჟურნალი „ცისარტყელა“.** გამოვიდა ყოველ თვიური სალიტერატურო ჟურნალი „ცისარტყელა“. პირველ ნომერში მოთავსებულია ლექსები: აბაშელის, ზაბილინას, ხარიტონ ვარდოშვილის, დუტუ მეგრელის, ობოლი მუშის, ვ. რუხაძის. დ გ. ქუჩიშვილის. მოთხრობები: შიო არაგვისპირელის, ლეო ქიაჩელის, დ. თურდოსპირელის და არ. რუხაძის. კრიტიკული წერილები: ივანე გომართელის და აკაკი პაპავასი. ჟურნალი ლამაზათაა გამოცემული, ღირს 15 მანეთი.

—

**სურათების გამოფენა.** დიდების ტაძარში გაიხსნა საშემოდგომო გამოფენა. გამოფენაზე მონაწილეობენ ყველა ეროვნების მხატვრები, რომლებიც თავიანთ მიმართულებისა და სკოლის თანახმათ დანაწილებული არიან სამ განყოფილებათ: მარცხენა ფრთა, ცენტრი და მარჯვენათი, არის აგრეთვე ფიროსმანაშვილის სურათები. გამოფენა ჯერ არ დაიხურება.

## წესდება

### საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.

§ 60. საზოგადო კრებაზე არჩევნები, აგრეთვე გადაყენება საბჭოს და გამგეობის წევრთა ვადის გასვლამდე, რომლითაც იგინი ამორჩეულნი იყვნენ, თუ კი ამის შესახებ შეტანილი იქნება წინადადება, ხდება ფარული კენჭის ყრით საზოგადო კრების მიერ დაწესებულ წესით.

§ 61. საზოგადო კრებაზე ხმის მიცემა უნდა მოხდეს ფარულად, თუ ამას მოითხოვს თუ გინდ ხმის უფლების მქონე ერთი აქციონერი. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა გადასაწყვეტათ გამგეობის წევრთა და საზოგადოების მეთვალყურე ორგანოთა, აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიის ამორჩევის—გადაყენების და აგრეთვე მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

§ 62. საზოგადო კრების განსახილველ და გადამწყვეტ საკითხების შესახებ სდგება დაწვრილებითი ოქმი. კრების დადგენილებათა აღწერასთან უნდა აღნიშნული იყოს, თუ რამდენი ხმით არის მიღებული ეს დადგენილებანი და აგრეთვე აღინიშნება განცხადებული განსაკუთრებული აზრები. ოქმებს აწარმოებს კრების თავმჯდომარის მიერ მოწვეული პირი; კრების თავმჯდომარე პასუხს აგებს იმაზე, თუ რამდენათ სისწორითაა აღნიშნული ოქმში კამათი და დადგენილებანი კრებისა. ოქმის სინამდვილეს ამოწმებენ ხელის მოწერით კრების თავმჯდომარე და აგრეთვე სხვა აქციონერნი სურვილისამებრ რიცხვით არა ნაკლებ სამისა. გამგეობის მიერ შემოწმებული ასლები საზოგადო კრების ოქმისა, განსაკუთრებულ აზრთა და საზოგადოთ ყველა დამატებანი ოქმის, უნდა მიეცეს ყველა აქციონერს მისი მოთხოვნისამებრ.

§ 63. გადაწყვეტილებანი საზოგადო კრებისა, რომელიც დადგენილ წესით არის შემდგარი, სავალდებულოა ყველა აქციონერისათვის, როგორც კრებაზე დამსწრეთ—ისე არა დამსწრეთათვის და აგრეთვე მათთვის, რომელნიც დადგენილების წინააღმდეგი არიან.

### 5. ანგარიში.

§ 64. ბანკის საოპერაციო წელიწადი ითვლება 1-ლ იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

**შენიშვნა:** თუ ბანკის დაარსება მოხდება ივლისის შემდეგ, დაარსების წელიწადი ითვლება შემდეგ წელს.

§ 65. წლიური ანგარიში გამგეობისა და საბჭოს შენიშვნები ანგარიშის შესახებ უნდა დაიბეჭდოს ორი კვირით ადრე მაინც საზოგადო კრებამდე, რომელზედაც უნდა განხილულ იქმნეს ეს ანგარიში და გაეგზავნოთ აქციონერთ ჩვეულებრივ საზოგადო კრების დანიშვნის შესახებ უწყებასთან ერთად; წლიური ანგარიშის ოთხი ცალი საზოგადო კრების ოქმით უნდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს.

§ 66. წლიური ანგარიშიდან აღმონაწერი უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ და კოოპერატიულ ორგანოში და ორ ადგილობრივ გაზეთში. ყოველთვიური ბალანსები ბანკისა უნდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს.

§ 67. წლიურ ბალანსებში არა კეთილსაიმედო ვალი გამოანგარიშებული უნდა იყოს ვარაუდით, ხოლო სახელმწიფო და სარგებლიანი ქაღალდების ფასი არ უნდა იყოს აღნიშნული იმაზე მეტი, რაც მიცემულია. თუ საბირჟო მათი ფასი ნაკლებია ნაყიდობაზე, ღირებულება ქაღალდებისა აღნიშნული უნდა იყოს საბაჟო კურსის მიხედვით.

### 6. მოგების განაწილება.

§ 68. წლიური წმინდა მოგებიდან, რომელიც დარჩება ყოველგვარ მმართველობის ხარჯების და ზარალის გამოკლების შემდეგ, §§ 71 და 72 დაწესებული ნაწილი გადაირიცხება სათადარიგო თანხაში. მონარჩენი, თუ იგი არ აღემატება 6 პროც. ძირითად თანხისა ნაწილდება დივიდენდათ აქციონერთა შორის, ხოლო, თუ მონარჩენი აღნიშნულ 6 პროც. აღემატება, დანარჩენი ნაწილი განაწილდება აქციონერთა საზოგადო კრების მიერ.

§ 69. ერთი მესამედი განსაკუთრებულ სათადარიგო თანხისა უნდა ინახებოდეს ხელუხლებელ ფონდათ. დანარჩენი ორი მესამედი ნაწილი, რჩება რა ბანკის მუდმივ განკარგულებაში, შეუძლიან მოიხმაროს თავის ბრუნვებისათვის პირველ დაწყებით ძირითად თანხის საფუძველზე.

## ხ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეორე გიმნაზიის კანცელარიიდან აღებული პირადობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

431 3—2

არშაკ მიხეილის ძე სიმონიანცის მემკვიდრეები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს გირავნობის მოწმობა, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1900 წ. იანვრის 27-ს, რეესტრი № 266 3000 მან. გევორქ კარაპეტის ძე ყაზაროვის მამულზე, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-7 უბანში გაუქმებულათ ჩაითვალოს.

410 3—2

ნაფიცი ვექილი შ. ტერ-გევონდიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პორტფელი შემდეგი საბუთებით:

1. ფურცელი გრიგოლ რამენდიკზე საჩივრისა, № 22765, 2 და 3. ორი ფურცელი ტიგრან ნერსესოვზე საჩივრისა №№ 2845 და 6982, 3. ფურცელი არტემ ევანგულოვზე საჩივრისა № 1431, 4. ფურცელი სერგი ედიგაროვზე საჩივრისა, 5. ვექსილი 450 მან. მიცემული ტერ-სტეფანოვის მიერ აზოვის ბლანკით და განაღდებული აზოვ. დონის კომერციულ ბანკში № 164509. ვექილობები მის სახელზე. აზოვ-დონის ბანკის მიერ, ამხ. „ტრეუგოლნიკის“ მიერ, ამხ. „კიუმენეს“ მიერ, ამხ. „ინჟენერის“ მიერ, ამხ. „იუნხ და ვეისის“ მიერ. ყველა აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ითვლება.

429 3—2

ისაკ შალომის ძე გორელაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა 66 ტ. ლიტ. ა. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

435 3—2

მიხეილ ნიკოლოზის ძე აჯიბეგიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 23/IV № 453. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

426 3—2

ეფროსინე მიხეილის ასული გოროდენსკისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი აღებული 1898 წელს, № 6840. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება.

414 3—

გორის უზნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ გაუქმებულია ვექილობა, მიცემული მარიამ გაბრიელის ასულის ინიაშვილის მიერ ივანე ტიმოთეს ძე ინიაშვილზე,

225 3—2

ქუთაისის ქალაქის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად აკაკი ანტონის ძე იმედაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, რომელიც მას ჰქონია მიღებული ამავე სამმართველოდან. სთოვს მპოვნელს აღნიშნული პასპორტი წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ.

217 3—2

გოზალ აკოფის ასული ეგიაზარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი მამულზე № 104, რომელიც მას ეკუთვნის, ზომით 100,30 კვ. ს., სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქის სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1913 წ. ივნისის 7-ს, რეესტრი № 1625.

417 3—2

საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ საგირავო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემული აღნიშნულ სამმართველოდან სავაჭრო სახლის „ძმათა ფორერებზედ“ №№ 31611—31620-დე თითო 1000 მანეთიანი, № № 11791—11820-დე 500 მან. და 28021—28030-დე 100 მან. სულ 26000 მან. ფორერებმა დაჰკარგეს, რისთვისაც აღნიშნული კვიტანციები გაუქმებულათ ითვლება.

428 3—2

ალექსანდრე ვასილის ძე [illegible] აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული (ქუთაისის გუბ.) [illegible] სოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.

3—1

ირაკლი ბეჟანის ძე ნებიერიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული პატარა ონის (რაჭა) კომისარიატიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

438 3—1

ივლიტე ალმასხანის ასული ფირცხალაიშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა რკინის გზიდან მიღებული სამგზავრო ბილეთი, პირადობის მოწმობა სურათით, შვილებზე აპეკუნობის მოწმობა, და საპენსიო კასიდან აღებული კვიტანცია. აღნიშნული მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

439 3—1

ექიმი კონსტანტინე ერისთავი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზის კოოპერატივიდან აღებული სასურსათო წიგნაკი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

443 3—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 30 დეკემბერს სამშაბათს დილით 12 საათზედ მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების ბინაზე ევანგულოვის ქუჩაზე № 2 დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა სამი ნაჭერი მიწისა, რომლებიც შესდგებიან დიდუბის კუნძულებიდან: ორი მათგანი სამხრეთით და ერთი ჩრდილოეთით; პირველი ნაჭერი კუნძულისა სივრცით 11 დეს. 2000 საჟ., მეორე ნაჭერი კუნძულისა სამხრეთით 1 დეს. და მესამე ნაჭერი კუნძულისა იგივე სამხრეთით 4 დეს., ვადა 1 ლ იანვრიდან 1920 წლ. 1-ლ იანვრამდე 1921 წლ.

საჯარო ვაჭრობაში პირად მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წინდაწინვე შემოიტანონ წერილობითი განცხადება ორ მანეთიანი სალერბო მარკით.

იჯარით გაცემა დაიწყება 1 ლ ნაჭრის 11 დეს. 2000 საჟ. 26 000 მან., 2 რე ნაჭრის 1 დეს. 2000 მან., 3 მე ნაჭ. 4 დეს. 2000 მან. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 12—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში.

259 1—1

**გამოვიდა და იყიდება თვიური**

## კედლის კალენდარი

**ფასი 10 მანეთი**

საწყობი: ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3.

255 3—1

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 11 საათზედ, ესიკოვსკის ცირკის დარბაზში (ვერის დაღმართი) გამგეობა განმეორებით იწვევს

## ტფილისის მილიციის კოოპერატივის

წევრთა საერთო მორიგ კრებას, რომელიც წესდების 33 მუხლის ძალით, კანონიერი იქნება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. დღიური წეს-რიგი: 1. გამგეობის მოხსენება; გასული წლის ანგარიშის და მომავალი წლის სამოქმედო გეგმის განხილვა. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. გამგეობის ორი წევრის არჩევა; 4, მიმდინარე საკითხები. კენჭის ყრაში მონაწილეობისათვის საჭიროა საწევრო წიგნაკის წარმოდგენა.

440 2—2

## ინგლისის სააქციონერო საზოგადოების „ლევანდის“

ტფილისის განყოფილება (გოლოვინის პრ. № 9. ტელეფ. 9—32) იღებს შეკვეთებს მთავრობის, საზოგადო, საერობო, საქალაქო, აგრეთვე, კოოპერატიულ და სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათათვის საზღვარ გარეთიდან სატეხნიკო იარაღების, ტელეფონის, ავტომობილების, რკინის გზ. მასალების და სხ. გამოსაწერათ. აგრეთვე გამოიწერს სხვა და სხვა სასაქონელს და მასალებს ვაჭრობა მრეწველობისთვის, სასოფლო მეურნეობისთვის და ტეხნიკისთვის. ყიდის საწყობებში (გოლ. პრ. № 9) ფართლეულობას, სხვა და სხვა სამუშაო იარაღებს, თეთრეულს და სხვ.

437 2—2

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 29 დეკემბერს, დილის 10 საათიდან, ტფილისის საქონლის სადგურზე გაიყიდება გაუტანელი ერთი ვაგონი მარილი წონით 963 ფ. გაგზავნით ფოთი—ტფილისი № 101241. ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს 30 დეკემბერს ა. წ.

261 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი